№ 204 სეკტემბერი 25, სამშაბათი 1890 სეკტემბერი 25, სამშაბათი № 204


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორგა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 25 სექტემბერს ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

### ქუნწი

კომედ. 1 მოქ. თხზ. გ. ერისთავისა.

პირველი დებიუტი ბატ. იოსებიძისა, რომელიც აასრულებს არჩილის როლს.

II

### საძაგელი

კომედ. 2 მოქ. დ. ერისთავისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია, ჩერქეზიშვილისა, ტატიშვილისა ბ-ნი აბაშიძე, სვიმონიძე, იოსებიძე, განდეგაკი და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს ვარშაველიდამ ახლად მოწვეული ორკესტრი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი 8 საათზე

### მომავალი კრება

ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა.

წარსულს კვირას იბეჭდებოდა განცხადება დრამატიულს საზოგადოებისა, რომ ჩვეულებისამებრ წესდების ძალით სეზონის დაწყებისას იქნება წლიური ყრილობა მოხსენებულ საზოგადოებისათ. ეს ყრილობა უნდა მოხდეს კვირას, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზე.

საზოგადოებაში და გაზეთებში ხშირად არის ლაპარაკი ხოლმე ქართულ დრამატიულის საზოგადოების მმართველობაზე, ხშირად სამდურავი ისმის მის უსაქმურობაზე: საზოგადოება და მმართველობა ქაღალდზე არსებობსო და საქმით-კი მისი არა სჩანს-რაო. ეს ლაპარაკი უფრო წასულს წელს იყო, როდესაც მმართველობამ აღარ იკისრა ანტრეპრიზა. წინად კიდევ სამდურავი იყო იმაზე, რომ კარგად ვერ უძღვება ქართულს დასსაო, რეჟისორი კარგი არა ჰყავსო, პიესებს ახლებს არ არდგენინებსო და სხვა და სხვა.

საყვედურის თქმა სხვა-და-სხვა ნაკლულევანების შესახებ ყოველთვის შეიძლება ითქვას, შეიძლება ჩინებულად ასრულებულ საქმეშიაც, თუ კაცს უნდა მოსძებნოს ნაკლულევანება, თვით მზესაც მოუძებნის ლაქას, ეს ყველგან ადვილია და ჩვენში ხომ წუნიობა რჯულთ უმტკიცესი ადათია. ყველაფრის მოწონება და კმაყოფილება თუ ჰკუის სილატაკესა და გონების გაუხსნელობას გვიჩვენებს,—მეორეს მხრით ყველაფრის დაწუნება და აბუჩად აგდება გვიჩვენებს ცუდად გაწვრთნილს ჩვენს გულსა, სიმართლის გრძნობის უქონლობასა და იმას, რომ ჯერ ჩვენი გონება უმწიფარია ავისა და კარგის გარჩევისთვის.

აბა დააკვირდით ლაპარაკსა ანუ გაზეთების წერასა. შეგიძლიანთ, მონახოთ რამე მართლა აზრი მოწონდაწუნებას გარდა? ათიოდე სტრიქონის გასმა-გამოსმის მეტი არა არის-რა, ისიც იმიტომ, რომ გაზეთში ცარიელი ადგილი გაივსოს და სირცხვილია, თეატრზე ხმა არ ამოვიღო, როდესაც სხვები ლაპარაკობენო. აზრი, ცხოველ-მყოფელი აზრი, შემუშავებული დამჯდარი რჩევა, საქმის წინ წასაწევი ღონის-ძიების ჩვენება და საზოგადოთ რაიმე შემწეობის სურვილი, მზრუნველობა და გულ-შემატკივრობა არა სჩანს.

შეიყრება წლიური ყრილობა საზოგადოებისა წელიწადში ერთხელ ან ორჯელ და კიდევ ის ისმის კრების [illegible] გაზეთებში იწერებოდა ან თეატრის დერეფანში ისმოდა. აქეთ-იქით გაკვრა-გამოკვრით ლაპარაკის დროს კრებაში ისევ მზრუნველი და მოსაზრებული გულ-შემატკივარი საზოგადოების მმართველობა გამოდის და წარა-მარა ლაპარაკი კრებაზე მოსულის ხალხისა სირცხვილეულ ენის ქაჩილადა რჩება.

რა არის ამისი მიზეზი? უახლოესი მიზეზი ის არის, რომ თავ-საფუძველ აზრს-კი არ ვადგევართ ხოლმე, როდესაც ლაპარაკია თეატრზე, არამედ წვრილმანებს გამოუდგებით, და ვლაპარაკობთ დაუსრულებელს ძველს გაცვეთილს და ათასჯერ გაგონილს რაღაც რაღაცებსა. ვგონებთ, დროა გავათაოთ ეს ტყუილუბრალო მიდებ-მოდება და შევუდგეთ იმისთანა მოსაზრებათა შემუშავებას, რომ შეეძლოს წინ-წაწევა საყვარელის სცენის ხელოვნებისა.

აი კვირას, 30 სექტემბერს, კრებაა დანიშნული. დეე, ვისაც მართლა გული ერჩის და ქართულის სცენის ზრუნვა აწუხებს, მოვიდეს და გაგვაგონოს საყვედური და გაწამაწია კი არა, არამედ ცხოველი, დამჯდარი და ნაყოფიერი რჩევა.

ვ.

## ახალი ამბავი

*** 23-ს სექტემბერს დიდუბეში დოღი იყო დანიშნული. ხალხი აგრე რიგად ბევრი არ მოვიდა დოღის საყურებლად. როგორც წრეს შიგნით, სადაც ფასიანი ადგილებია, ისიც წრის გარედ, სადაც ადგილები მუქთია, ხალხი მეტად ცოტა მოგროვდა. სამს საათზე დაიწყო დოღი. პირველად სადოღოდ დანიშნული იყო სამი ცხენი: ერთი თ. ა. თუგანოვისა, საკუთარ მისის ჯოგისა „ელბრუსი“ სამის წლის ცხენი, მეორე კ. მ. ენიკოლოფოვისა და თ. არღუთაშვილისა საკუთარ მათის ჯოგისა „რუსტემ“ სამის წლისა და მესამე თ. ს. გ. წერეთლისა, საკუთარ მისის ჯოგისა „ნარგიზი“ სამის წლისა. დოღში მხოლოდ გაშვებულ იყვნენ ორი ცხენი თ. თუგანოვისა და თ. წერეთლისა, რადგანაც ბ-ნმა ენიკოლოფოვმა თავისი ცხენი აღარ გაუშვა. გამარჯვება თ. თუგანოვის ცხენს დარჩა. საჩუქრად მიიღო ათ თუმნიანი ვერცხლის ნივთი.

მეორე რიგობაზე ოთხი ცხენი იყო დანიშნული დოღისათვის: ერთი იმავ თ. ა. თუგანოვისა, რვა წლის ცხენი „ბანკი“ ილოვაისკის ჯოგისა, მეორე კ. მ. ენიკოლოფოვისა 4 წლის ცხენი „ოცნება“ ილოვაისკისავე ჯოგისა, მესამე ს. ტ. მელიქ-ბეგლაროვისა „მახმარი“ რვა წლის ცხენი საკუთარის ჯოგისა და მეოთხე ვ. ა. ბერგისა „როიალ-მერი“ შვიდის წლისა, ხრეპოვის ჯოგისა. ამ რიგობის დოღს უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს მაყურებლებმა, რადგანაც დიდის ხნით ცნობილია, რომ ამ ოთხს ცხენში ორი ცხენი „ბანკი“ თ. თუგანოვისა და „როიალ-მერი“ ბ-ნ ბერგისა დიდი ხანია ერთმანეთს ეჯიბრებიან და სადაც-კი ამიერ თუ იმიერ კავკასიაში დოღია, ყველგან ჰსცდილობენ, რომ [illegible] წინანდელს დოღებში ზოგჯერ ერთს გაუმარჯვენია, ზოგჯერ მეორეს და მარშანაც, როგორც გვახსოვს, ვგონებთ ბ-ნ ბერგის ცხენმა „როიალ-მერმა“ აჯობა „ბანკსა.“ წელს-კი თ. თუგანოვის ცხენმა აჯობა ასე, რომ რამდენისამე ნაბიჯით უკან დააგდო. სხვა ორი ცხენი-კი ძალიან შორს დარჩნენ. საჩუქარი იყო სამოცი თუმანი ფულად.

მესამე რიგობაზე ორი ცხენი იყო: ერთი ისევ იმავ თ. თუგანოვისა „ევველინა“ ოთხის წლისა, საკუთარის ჯოგისა და მეორე ა. იზმაილოვისა „ვეფხვი“ ოთხის წლისა, საკუთარ ჯოგისა. აქაც თ. თუგანოვის ცხენმა გაიმარჯვა და ალაგს გარედ დააგდო ბ-ნ იზმაილოვის ცხენი. ჯილდოდ დანიშნული იყო ორმოცდა-ხუთი თუმანი.

მეოთხე რიგობაზე ჩაწერილი იყო

## ფელეტონი

### ათაბაგნი ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი

(შემდეგი*)

ვერც ძვირფასის ძღვნით მოინადირეს მტრის გული. თემურს ჰსუროდა, საქართველო უეჭველად გამაჰმადიანებულიყო და პირად მეფე გიორგი ჰხლებოდა,—ოლონდაც-კი მნახე და დიდის საჩუქრით გაგისტუმრებო. მეფემაც კარგად იცოდა, რა საჩუქარსაც უბოძებდნენ და უარზედ იყო. ურჩობა გულს უსივებდა „ზვავსა და ამპარტავანს“ თემურს და იგი თავის ჯავრს საქართველოზედ ჰყრილობდა. კიდევ აიკლეს უიმისოდაც მრავალ-ტანჯული ქართველობა. იმერეთი ისევ გულ-გრილად შესცქეროდა ქართლის წვასა და დაგვას და შემწეობის მაგიერად, „ამ ჟამად განდგა ძე ბაგრატისავე (იმერეთის მთავარ-ერისთვისა) კონსტანტინე, დაიპყრა იმერეთი და იწოდა მეფედ“ [49]). მეფე გიორგის მხოლოდ ათაბაგ იოანეს ერთგულობა ანუგეშებდა. მაგრამ თემურის მძვინვარებასაც ბოლო მოეღო, რადგანაც 1405 წელს „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“, ანუ, სომეხთა მწერლის მეძობის თქმისამებრ, „ჩაძაღლდა“ [50]).

მაშინ-კი ეშველა საქართველოს. თემურის შვილები ერთი-ერთმანეთს მტრობდნენ და აირივ-დაირივნენ. იმათ უზარმაზარს საბრძანებელში განხეთქილება ასტყდა [51]). მცირე აზიაშიც სხვა-და-სხვა მოდგმის მაჰმადიანები ერთი-ერთმანეთს ებრძოდნენ. თურქნი, სპარსნი, სარკინოზნი მიესივნენ თვით მაჰმადიანობას. ქრისტიანობამ მოისვენა. რასაკვირველია, მეფე გიორგიმ მარჯვე დრო კარგად გამოიყენა. ჯერ შემოიერთა იმერეთი, სადაც ძალად მეფე კონსტანტინე თვით მკვიდრთა მოჰკლეს. მერე ხელი მიჰყო სამეფოს აღშენებასა. და თუ რამდენად საჭიროებდა სამეფო კეთილად განწყობას, ამას მატიანე მოგვითხრობს —„იყო მაშინ ყოველი ესე საქრთველო უსჯულოსა თემურისაგან უნუგეშინისცემოდ განსრული და სრულიად აოხრებული. დედა-ქალაქი მცხეთა, დიდი წმიდაჲ კათოლიკე ეკკლესია, და ეგრეთვე ყოველნივე ეკკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყოველნი სულნი ქრისტიანენი დედა-წულითურთ ტყვე ექმნა“, „ძალი ქართლისა შემცირებულიყო მრავლის ტყვენვისა და რბევისაგან“... ხალხი ისე გალატაკდა და გაღარიბდა, რომ მეფესაც-კი შემოსავალი არსაიდგან ჰქონდა და ქ.-ცბა ალექსანდრე მეორეზედ ამბობს, „შემოსავალი არსაით იყო სახლისა მისისათვისო“ [52]).

მტრებმა მაინც დიდ-ხანს არ დაასვენეს საქართველო. მეტადრე საშიშარნი შეიქმნენ თურქნი, (აწინდელნი ოსმალნი) რომელნიც აღემატებოდნენ სხვა მაჰმადიანებს სიმხნითა და ძლიერებით. თუმცა იმათზედაც მრავალ-გზის გაიმარჯვა მეფე გიორგიმ, მაგრამ მაინც თურქთაგან მოიკლა, რადგანაც, ვახუშტის სიტყვით, „სისწრაფითა არღარა მოიცადნა სხვანი სპანი თვისნი, გარნა რაოდენნი ესწრნენ თვისთანა, მიეგება წინა“. თურქნი საათაბაგოსაც შიშის ზარზა სცემდნენ. ერთგულმა იოანე ათაბაგმა ალექსანდრე მეფის კურთხევაზედ მისვლაც-კი ვერ გაჰბედა, „ვინაიდგან მიზეზობდა ძალ-ყოფასა თურქთაგან“.

ამ საერთო შიშის დროს აღბუღა ახალციხეში იმყოფებოდა და თუ სომხების მწერალს მეძობის დავუჯეროთ, იმისი იქ ყოფნა უბედურებად გარდაქცევია სამშობლოს. მეძობი იხსენიებს, რომ აღბუღა მოსახლე სპარსელებს უფრო პატივსა სცემდა, ვიდრე ქრისტიანებსა და ვითომ იმისმა ასეთმა საქციელმა დიდი ვნება მოუტანა საათაბაგოს. ერთმა გაქრისტიანებულმა სპარსელმა თავისი უწინდელის რჯულის შეურაცხება მოინდომა. შეჰკრიბა რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი და სომეხი. ღორი მოჰკლეს, ხორცი თითონ შესჭამეს და ძვლები მეჩითში დაჰყარესო. ამ ამბავმა სპარსელები ააღელვა და იმათ, რადგანაც აღბუღაც ჰქომაგობდა, ქრისტიანებს უჩივლეს ყარა-იუსუფთან, რომელმაც თავისი ჯარით აოხრა სამთავრო [53]). მეძობის სიტყვით, „უგუნურების“ გამო აღბუღა სპარსელებს უფრო დიდს პატივსა სცემდა, ვიდრე ქრისტიანებს. მაგრამ ძნელად დასაჯერებელია „კაცს მშვიდსა და უშფოთველს და სამართლის მომქმედს“ ის ჩაედინოს, რასაც სწამებენ. სხვა რომ არ იყოს-რა, მართო სამართალი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ათაბაგს ღრმად სწამდა ქრისტიანობა და გულ-მხურვალედ ეპყრობოდა მართლ-მადიდებლობას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მეძობი მძულვარებით იხსენიებს ქართველებს და ბევრჯელ უსამართლოდ ჰკიცხავს მეზობელს ერსა [54]).

თურქთა გაძლიერებამ ძირიანად შეარყია საქართველოს სამეფო. გარეშე მტერს გარდა, მავნებელი გავლენა ჰქონდა იმერეთის განდგომასაც. სხვა სამთავროებმა იმერეთს მიჰბაძეს და ხშირად ერთმანეთს ებრძოდნენ და ექიშპებოდნენ. დღითი-დღე მატულობდა შინაური უწესოება და აღრევა. ცხადი იყო, რომ მხოლოდ ახრდილი ღა დარჩა ძველის ერთობისა და თითოეული სამთავრო სცდილობდა სრულიად დამოუკიდებელი შექმნილიყო. მართალია, ყველა სამთავროში მეფეს ერთგულნიც ჰყავდა, მაგრამ უმრავლესობა მაინც სამეფო ტახტს პირს არიდებდა. წინად სამთავრო სამთავროს ებრძოდა. მაგრამ ახლა ამ ჭირს სხვა ზედ დაერთო. თვით ერთსა და იმავე სამთავროში ასტყდა და აღორძინდა შური და მტრობა.

---

*) იხ. „ივერია“ № 202.

[49]) ვახუშტი, გვ. 291.

[50]) Hist. de la *G.* I. p. 676, n. 4 ქ.-ცხოვ. გვ. 472.

[51]) Addit. et èclaircis. p. 399.—„იყო შური და ხდომა ძეთა შორის ლანგ თემურისათა, რამეთუ ფრიად მოშურნე იყვნეს იგი ურთიერთარს შორის და ჟამსა ამას განთავისუფლებულ იყვნეს მკვიდრნი საქართველოსანი და იყვნენ მშვიდობით, განსვენებასა შინა“, ქ.-ცხოვ. გვ. 475.

[52]) ქ.-ცხოვ. გვ. 473—474 ალექსანდრე მეფობდა 1413—1442 წ.

[53]) Addit. et èclaircis. p. 399. n. 2. ეს ამბავი მოხდა 1413 წ.

[54]) სხვათა შორის, მეძობი ქართველებს მშიშარობასა და ტრაბახობას სწამებს. როცა ჯაან-შაჰ შემოესია საქართველოს, იოანე ათაბაგის დროს, და იმოდენა ხალხი გაჟლიტა, რომ ქალაქის წინ 1664 მოკლულ კაცის თავის კოშკი ააშენა, ქართველებმა ერთი მტერი ვერ მოკლესო (!?) Addit. et èclaircis p. 402—403.

სამი ცხენი, ერთი თ. თუგანოვის ცხენი იგივ „ელბრუსი“, რომელიც პირველ რიგობის დოღში იყო და გაიმარჯვა, მეორე კ. მ. ენიკოლოფოვისა „რუსტემი“ სამის წლისა, საკუთარის ჯოგისა და მესამე თ. ს. გ. წერეთლისა „ლედი ნორმანი“ 3 წლისა, საკუთარ ჯოგისა. დოღში-კი გამოიყვანეს მარტო პირველი ორი ცხენი, რადგანაც თ. წერეთელმა არ მოისურვა თავის ცხენის გამოშვება, აქაც გამარჯვება დარჩა თ. თუგანოვის ცხენს, რომელმაც კარგა დიდ მანძილზე დააგდო „რუსტემი“. ჯილდო იყო ოცდა-ხუთი თუმანი.

თ. თუგანოვის ცხენები, თუმცა თვალად ისე საქებურნი არ არიან, მაგრამ აგებულებით და ჩასხმულობით წარმოადგენენ ჯანიან და ღონიერ ცხენებს და კაი მოსულნი ტანისანი არიან.

*** კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფმა თ. დონდუკოვ-კარსაკოვმა უქვეშევრდომილესი მოხსენება წარადგინა ამას წინად იმის შესახებ, თუ როგორი მართვა გამგეობა უნდა იყოს კავკასიაში. სხვათა-შორის ამ მოხსე- [illegible] ლონე უნდა იქმნას ხმარებული ამ ხანად სამრეწველო განათლების გასაძლიერებლად კავკასიაში. აი მაგალითად რა ღონე: სადაც საქალაქო და სასოფლო სკოლებია, დაემატოს იქ თითო კლასი და ამ კლასში ასწავლონ შეგირდებს თვით საქმით ის წარმოება, რომელსაც მისდევენ უმეტესად იქაურნი მცხოვრებნი, სადაც სკოლაა. თუ ღვინის წარმოებაა გაძლიერებული, ასწავლონ ვენახის გაშენება, შემუშავება, ღვინის დაყენება, თუ ხვნა-თესვა, კარგის იარაღის ხმარება, ღონე მათის შეძენისა და ასე ამ რიგად. ესეთის საგნების სწავლება უნდა შემოღებულ იქმნას ეხლანდელს სახელოსნო და დაბალ სატეხნიკო სასწავლებლებში. სადაც ხაზინამ ვერ მოახერხოს ასეთის კლასების ხარჯის გაღება, იქ ნება მიეცეს თვით საზოგადოებას, ან სამმასახლისოს, თვით იკისროს საჭირო ხარჯი. ეს აზრი მთავარ-მართებლისა მოიწონა საერო განათლების მინისტრმა და სთხოვა კიდეც კავკასიის სწავლა განათლების მზრუნველს, მხედველობაში იქონიე ზემოხსენებული საგანი და რაც მის შესახები საქმე გაკეთდეს, ჩემს სამინისტროს მოახსენებდეო.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი ს. ა. შერემეტევი, გუშინ, ამ თვის 24, დილის ცხრა საათზე ტფილისიდგან ბათუმში გაემგზავრა და იქ უნდა დაესწროს ბათუმის ციხის არტილერიის მიერ ზარბაზნების სროლასა. მთავარ-მართებელს თან ახლდა კავკასიის ჯარის შტაბის უფროსი გენერალი ბერლიკი და მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი შატილოვი.

*** სურამის გვირაბის გამკეთებელი ხუროთ მოძღვრები: სიმბერგი, დარაგანი და სხვანი, გზათა მინისტრის ბრძანებისამებრ დანიშნულ იქმნენ კავკასიის მთაზე რკინის გზის გაყვანის ვითარების საკვლევად, ხუროთ მოძღვარი რიძევსკის თაომდგომარეობით.

*** ამ ორის წლის წინად კავკასიის დედათა ინსტიტუტისა და წმ. ნინოს სასწავლებლიდგან პეტერბურგში გაჰგზავნეს სხვა-და-სხვა მოსწავლე ქალების მიერ დახატული სურათები ხელოვნებათა აკადემიის კონკურსზე. გასულს კვირას მოვიდა ამბავი, რომ წმ. ნინოს სასწავლებელში კურს-დასრულებულს ქ. გოტგარტს და დედათა ინსტიტუტში კურს-დასრულებულს ქ. პოკროვსკაიას მიუღიათ ვერცხლის მენდლებიო, ხოლოთ ინსტიტუტში კურს-გათავებულს ბროდოვსკაიას ქების დიპლომიო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე მე-438 ვერსზე საღგურ შამხორის ახლოს უპოვნიათ ვილაც თათრის ორად გაწყვეტილი გვამი, რომელიც საქონლის მატარებელს ქვეშ მოჰყოლია.

*** საჩინო (იმერეთი): სწორედ უბედურებაა ეს „იმერული“ დღეობანი: ამ ცოტა ხანში ორ-სამ სოფელში იყო ორჯელ დღეობა და ორჯელვე უბედურებით დაბოლოვდა. ერთი იყო 15 მარიამობის თთვეს სოფ. ქედს და ლხინის დროს სტუმრებმა შუშხუნები აუშვეს და მასპინძელი სულ ერთბაშად გადასწვეს. 2000 მანათამდე ზარალი მისცეს.

მეორე დღეობა სოფ. ოფიშქვითში იყო 8 ენკენისთთვეს. აქ ბევრი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ორ ძმა წერეთლებს ნასვამმა თავადიშვილმა ხმლით ერთს ექვსი და მეორეს ოთხი კბილი ჩააგდებინა. საეჭვოა იმათი გადარჩენა. ამას გარდა ორი ცხენი მოჰკლეს. წვრილმან ჩხუბებს ანგარიში არა აქვს: ზოგს ყურს მოათლიან, ზოგს ხელის თითებს მოამასხვევენ, ზოგს თავს გაუხეთქავენ და სხვ.

*** ონი (რაჭა). 28 სექტემბერს დანიშნულია ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში იჯარით გაცემა იმ ხიდის გადაკეთებისა, რომელიც ონს [illegible] განისათვის გადადებულია მთავრობისაგან 4625 მან. 57 კაპ.

*** ბაკურციხე: ბაკურციხელებს რომ ერთობა ჰქონდეთ და საზოგადო ინტერესი აწუხებდეთ, რა არ გაკეთდებოდა-აქ. — თუმცა ამათ საზოგადოებაში ერთი ორიოდე კაცი მოიპოვება, რომელთაც ესმით საზოგადო ინტერესები და კიდევაც ცდილობენ, მაგრამ მარტო ესენი რას იზამენ, თუ სხვებიც არ დაეხმარებიან. ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რამდენი რამე არის საჭირო სოფლისათვის: სკოლა, წიგნთ საცავი, ბანკი, დეპო და სხვ. ბაკურციხეში კი ჯერ არაფერი არსებობს. თუმცა სკოლა კიდეც უნდათ გამართონ, მაგრამ ჯერ მთავრობიდგან ნება-რთვა არ მოსვლიათ. გურჯაანელების მიბაძვით აქაც წიგნთ-საცავი მოიწადინეს ზოგიერთებმა, მაგრამ ჯერ ვერ მოუხერხებიათ. წიგნთ-საცავის გამართვა ძრიელ ადვილია ბაკურციხეში,—კნ. ნინო ანდრონიკაშვილისა ძრიელ დაეხმარება ამ კეთილს საქმეს. რაც შეეხება ბანკს და დეპოს, ღმერთმა შეიწყალოს, ამათი გამართვის იმედი კი არა გვაქვს... როგორც სხვაგან, ჩვენ სოფელშიაც ჩვეულებადა აქვთ, ზაფხულში ნაყანებში ნამჯას ცეცხლს წაუკიდებენ ხოლმე — თუმცა მიწისთვის კარგია ნამჯის დაწვა, მაგრამ უადგილო ადგილას ცეცხლის მოკიდება საშიშია, ნამეტნავად თუ ახლო ან თივები დგას ან ვენახები:—რამდენი უბედურობა მომხდარა, რამდენის თივები და ვენახები დამწვარა. წელსაც ზაფხულში ბაკურციხის ბოლოს ვენახებს ახლო ნამჯას ცეცხლი მოუკიდეს,—ნიავმა ვენახებში გადიტანა და გადასწვა რამდენისამე საწყალ გლეხის ვენახები.

*** საჩხერედამ მოგვივიდა 450 მ., შეგროვილი კნ. ელისაბედ გიორგის ასულის წერეთლის მიერ. ამ რიგად განაწილებლად: 150 მან. მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ, 100 მ.—წინამძღვრიანთ-კარის სკოლისათვის, 100 მ. „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“, ხოლო დანარჩენი 100 მ.—დ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა იყო 1022 მან. 72 კაპ. ამიანად გახდა 1122 მან. 72 კაპ.

*** დასავლეთ საქართველოში ახალ ჯარის კაცების გამოყვანისათვის დაწესებული კრებულნი დაიწყებენ მოქმედებას ბათუმში 1, 2, 3, 4, 5 და 6 გიორგობისთვეს, ართვინში—20, 21, 22, 23, 24 და 25 ივანობისთვეს, ოზურგეთში—12, 13, 14, 15, 16 და 17 გიორგობისთვეს, ოზურგეთშივე მეორე მოსაწოდებელი უბასტკისათვის—23-იდამ 28 გიორგობისთვემდე, მესამეში—7-იდამ 12 დეკემბრამდე, საჩხერეში მეოთხე უბასტკისათვის—1 ნოემბერს, მესამესათვის—8 ნოემბერს, მეხუთესათვის—20 ნოემბერს, ყვირილაში მეორესათვის—28 ნოემბერს, იქვე პირველისათვის—5 დეკემბერს, სოხუმში გუმისტანისა, გუდაუთისა და თვით სოხუმისათვის—15 ნოემბერს, ოჩემჩირში—1 ნოემბერს.

*** ქუთაისი: 10 ოკტომბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა ჩვენს საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში დაგირავებულის და ვადაზე არ—გამოსყიდულის ფასიანის ქაღალდებისა და ძვირფასის ნივთებისა.

*** იქიდამვე: ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების დირექციამ მოუმატა სწავლების ფასი ორს სამოქალაქო სასწავლებელში და სახელდობრ ოზურგეთისაში 8 მაგიერ 10 მ., ხოლო ახალ-სენაკისაში—10 მაგიერ 12 მან.

*** ხონი: 28 სექტემბერს დანიშნულია ქუთაისის საგუბერნიო მმართველობაში იჯარით გაცემა ხონსა და ქუთაისის შუა გზის შეკეთებისა. ამ საგანისათვის გადადებულია სულ 5056 მან. 20 კაპ.

*** ტფილისში ხმა გაჩნდა, რომ ვითომ გამომძიებლად ნამყოფი ბ-ნი ხოსროევი, რომელსაც თავის სახლის გადაწვა დაჰბრალდა და კატორგაში იქმნა გაგზავნილი, გზაში თავისმა ამხანაგებმა მოჰკლესო. გაზ. „Нов. Обозр.“-ე ამბობს, რომ ეს ხმა ერთი თვეა ისმის და დამტკიცებით-კი ჯერ არავინ არა იცისრაო.

*** საჯავახოდამ (ქუთაისის მაზრაშია) სწერენ ზემოხსენებულსავე გაზეთს, რომ აქაურს მამასახლისსა და მწერალს სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჰბრალდებათო. ამ საქმის გამომძიებლად იყო აქ მაზრის უფროსიო; მართლა ბევრი უწესოება იხილა და დაჰპირდა ხალხს, მოვახსენებ ამ ამბებს გუბერნატორს და ერთს კვირაზედვე შეიტყობთ, რაც ბრძანება

---

თითოეული სამთავრო ერისთავების საქიშპო ასპარეზად გარდაიქცა. ერთნი მოსარჩლენი იყვნენ მეფისა, მეორენი მთავრისა. მაგრამ ამ საპოლიტიკო დასს გარდა ერისთავებს ერთურთობაშიაც შური და მტრობა არ აკლდათ. ერისთავებს თან მიჰყვნენ სხვა მკვიდრნიც და სხვა-და-სხვა ავ-კაცობა, მეტადრე ღალატი, თითქო გადამდები ავადმყოფობაო, ყველა წოდებას მოედო. ასეთი უნიადაგო ცვლილება უფრო საათაბაგოს დაეტყო და პირველად იქ გაძლიერდა როგორც შინაური უწესოება, ისრე გარეგანი ურჩობა. მალე ურჩობა იქამდე მივიდა, რომ ოდესმე ერთგულთა ერთგული იოანე ათაბაგიც-კი ალექსანდრე მეფეს განუდგა, რაისა გამო მათ ომი მოუხდათ. ათაბაგი ტყვედ წაიყვანეს და დაამპატიმრეს. მეფემ საათაბაგო მოვლო, „ურჩნი“ ერისთავნი განდევნა და მათ ადგილას თავისი მომხრენი დააყენა. შემდეგში „ურჩი“ იოანე გაანთავისუფლა და ისევ უბოძა ათაბაგობა. მაგრამ ეს იყო მეფის უკანასკნელი გამარჯვება. რამდენსამე წელს შემდეგ მეფის ძალა და პატივი იქამდე დამცირდა, რომ იმისათვისაც სახიფათო და საფათერაკო შეიქმნა ათაბაგის განრისხება და ხლის შეხება.

როგორც ვთქვ, ისე ალბულაც იმ დროს ავიდა ათაბაგად, როცა სამცხე ახალს განსაცდელს გადარჩა, აი რა განსაცდელს. სპარსეთის ყაენი ჯაჰან-შაჰ ჯერ სამშვილდეს შემოესია, დასწვა იგი სამთავრო, და დაატყვევა მრავალი ხალხი და მერე, როცა ტფილისი აიღო, 1444 წელს საათაბაგოსაც დაეცა.[55]) იმ დროს მეფედ ვახტანგ მეოთხე იჯდა. მან დიდ-ძალი ლაშქარი შეკრიბა და მსწრაფლად წავიდა სამცხეს მტრის განსადევნად. შაჰი და მეფე პირდაპირ შეიყარნენ და თუმცა მთელი დღე სულ იბრძოდნენ, მაინც გამარჯვება არც ერთს არ დარჩა. ჯაჰან-შაჰმა გაცლა არჩია და ღამე გაიპარა. ვახტანგ-მეფეს სწადდა, მტერს უკან გამოსდგომოდა, მაგრამ დიდებულებმა არ ურჩიეს[56]). ამავე წელს მოკვდა ათაბაგი იოანე და მეფე ვახტანგმა „პატივსა ათაბაგობისასა“ აღიყვანა ძე მისი ალბულა. უბოძა ამირსპასალარობაც.

ცნობა არ დაგვრჩენია, თუ როგორ ათაბაგობდა ალბულა მხოლოდ ვიცით, რომ იგი მტკიცედ ადგა პოლიტიკურს ერთობას და ტახტის მორჩილებას არ ჰღალატობდა. ზემოდ უკვე მოვ ხსენიეთ, რომ თითოეულს სამთავროში ურჩობა დაიბადა და ერთისთავენი სამეფოს ერთობას უარჰყოფდნენო. საათაბაგოში ბევრნი არ თანაუგრძნობდნენ ალბულას მოქმედებასა და მიმართულებას და ერისთავენი მზად იყვნენ ურჩობის დროშა აღემართათ. მხოლოდ მედროვე იყო საჭირო. იგიც მალე გამოჩნდა. ათაბაგის ბიძამ ყვარყვარემ ითავა ამბოხება. ბიძა შურის თვალით უცქეროდა თავის ძმის წულს და „იხილა რა ალბულას მოქმედებანი, იწყო გარდაბირებად მესხთა“, ამბობს ვახუშტი. უმთავრეს საწყენ „მოქმედებად“ მიაჩნდათ ალბულას მტკიცე მორჩილება მეფისადმი: სხვა გვარი წყენა არ შეეძლო „მშვიდს, უშფოთველს და სამართლის მოქმედს“ ათაბაგსა. ყვარყვარე-კი ურჩობისა და განდგომის გზას ადგა. აი ეს იყო მიზეზი, რომ ძმის წულს და ბიძას ომი მოუხდათ. ალბულას ჰსურდა ყვარყვარე შეეპყრა, მაგრამ ბიძამ აჯობა და ათაბაგობა ჩამოართვა 1447 წ. რასაკვირველია, მეფე ვერ მოითმენდა თავისი ერთგულის ათაბაგის დაჩაგვრას. მეფე გიორგი მერვე ალბულას წაესარჩლა. მივიდა ჯარით სამცხეს, შეიპყრა ყვარყვარე და ათაბაგობა ისევ ალბულას დაუბრუნა[57]). რა მოხდა ამას შემდეგ საათაბაგოში, არა სჩანს. მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ ალბულას მამა იოანე ათაბაგი „მიზეზობდა ძალყოფასა თურქთაგან“, იმისი შვილი ასეთს „ძალ-ყოფას“ უმეტესად „იმიზეზებდა“, რადგანაც, რაც დრო და ჟამი გადიოდა, თურქნი უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ და მაშასადამე საათაბაგოსაც ავიწროებდნენ. ალბულას დროს თურქებმა თითქმის სრულიად დაიპყრეს ბიზანტია, მხოლოდ სატახტო ქალაქი თავისი მიდამოთი ჯერ ისევ თავისუფლად იყო, თუმცა სასოწარკვეთილებით შესცქეროდა ოსმალთა ამოლებულს მახვილს. არც დასავლეთი საქართველო იყო მშვიდობიანს მდგომარეობაში. 1451 წელს თურქნი ორმოცდა-ათის კატარღით (საბრძოლველი ნავი) დაეცნენ აფხაზეთს და სამეფოს სხვა ზღვის ნაპირებსა და დიდი ზარალი მისცეს. მეფე გიორგი VIII, გაიგო თუ არა ეს ამბავი, მტრის მოსაგერებლად წავიდა, მაგრამ დაუგვიანდა და თურქებმა გაასწრეს. მეფემ მხოლოდ წესი და მშვიდობიანობა აღადგინა აოხრებულს ადგილებში. ამ წელს მიიცვალა ათაბაგი ალბულა და იმავე დროს მეფემან“ მიუბოძა ბიძასა მისსა ყვარყვარეს მოობირებითა ვეზირთათა ათაბაგობა[58]). იგი ყვარყვარე ათაბაგი უკანასკნელია, რომელმაც მეფის ხელით მიიღო ათაბაგობა.

ჩვენს საგანს არ შეეხება, თუ როგორ და რისათვის დაირღვა ერთმეფობა და დაარსდა დამოუკიდებელი სამთავროები[59]). შევნიშნავთ მხოლოდ, რომ გიორგი VIII დროს მეფობამ სრულიად დაჰკარგა პატივი და მნიშვნელობა. 1465 წ. ყვარყვარე ათაბაგმა, ფანავარის ტბის პირად ომში სძლია მეფე, იგი დაატყვევა და თან წაიყვანა სამცხეში. საათაბაგოც საბოლოოდ მაშინ განდგა.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

[55]) თომა მეწოძი ამბობს, ჯაჰან-შაჰ საქართველოს შემოესია 1440 წ. და სამცხეზე-კი ცნობას არ გვაძლევსო. ქართველები შიშისაგან დაიმალნენ და ერთი მტერიც ვერ მოკლესო... შემოსევის მიზეზი ხარჯის მიუცემლობა ყოფილა, Addit. et éclaircis. 402—403. ბროსეს აზრით, ჯაჰან-შაჰს შემოსევა უფრო გვიან უნდა ყოფილიყო, სხვა მეფის დროს და არა ვახტანგის მეფობაში, Hist. de la G. I. 683, n. 3.

[56]) ვახუშტი, გვ. 302. ეს ამბავი მატიანეს ორიოდე სიტყვით აქვს მოხსენებული: „ჯაჰან-შაყაენი ახალციხეს მოუხდაო“. გვ. 475.

[57]) ამ ამბავსაც ქ.-ცხოვ. ორის სიტყვით იხსენიებს: „ალბულა და ყვარყვარე შეიბნესო 1447 წელსა, გვ. 475, მაგრამ რად შეიბნენ და რით გათავდა შებმა, არა სწერია.

[58]) ვახუშტი, გვ. 303.

[59]) ჯერ ხეჯითად გამორკვეული არაა, საქართველოს როდის განიყო საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ქ-ცხოვ. სიტყვით ეს მოხდა ალექსანდრე მეფის დროს (1413—1442 წ.), გვ. 474. ვახუშტი-კი ამბობს მეფე გიორგი VIII დროსაო (1445—1469 წ.), გვ. 302 და საბუთებსაც უჩვენებს. საზოგადოდ, ბაგრატ V შემდეგ ჩვენი მატიანე არეულია და განურკვეველი. ზოგიერთს მეფეს არც იხსენიებს. ვახუშტი კიდევ სხვაფრივ აღწერს მეფეთა შტოსა იხ. Hist. de la G. I. 689.

გამოვაო. მოსავალი თითქმის ყველაფერისა ნაკლები და ძალიან ნაკლები იყოვო.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ბათომის ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ პირუტყვის გადასაყვანი და შენობის მასალის გადასატანი ხარჯი შეამციროს, კარანტინი ახსნან შავის ზღვის ნავთ-საყუდებლებს და ნება მიეცეს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ფულის გასესხებისა ბათომის მამულებზედ.

*** ამ თვის 23, შუაღამისას პოლიციის მეათე ნაწილში, მეორე მადაკნის ქუჩაზე, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ვაგონმა მეჯინიბის გაუფრთხილებლობის გამო გასრისა ვიღაც უცნობი კაცი. გარდაცვალებულის გვამი სანატომიო თეატრში გაგზავნეს.

*** ამავე დღესვე, ღამით, ბაგრატიონის ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებელის მირზოევის სახლის სალაროდგან მოიპარა 20 მანეთიანი სხვა და სხვა ნივთეულობა ს. კართიშევის მცხოვრებელმა ახმედ სულთანმა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** 23 ამ თვისას, ნაშუადღევის 2 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, ტერ-ოჯანეზოვის სახლში ტფილისის მცხოვრებელის მიხეილ ბერიშვილის შვილი ნიკოლოზი, რვა წლისა, თავის გაუფრთხილებლობით ცხენის რკინის გზის ვაგონ ქვეშ მოჰყვა და ორივე ფეხი მძიმედ დაიშავა. უმაწვილს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** ამავე დღესვე, საღამოს რვა საათზე, მადათოვის კუნძულზე რაჭის მცხოვრებელი სამსონ ჩიკვილაძე წაეჩხუბა რაჭისავე მაზრის სოფ. ბრაგვაზალის მცხოვრებელს ზურაბ სხირტლძეს, დანით მუცელში დასჩრა და დაიმალა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავეს დაეძებენ.

*** 22 და 23 ამ თვისას, პოლიციის მეხუთე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებლს კარაპეტ სანტრუსოვს, ისაია მიჩიტოვს, დარჩო ჩერეშევს და დანიელ გუნინს მოჰპარეს ახალი თევზი რვა ფუთამდე, ღირებული 56 მანეთად. ქურდნი პოლიციის მეშვიდე ნაწილში მცხოვრებლნი ნიკოლოზ მუტეიჩაკოვი, პავლე ქსევი და დიმიტრი ივანოვი შეიპყრეს მოპარულ თევზიანად და სამართალში მისცეს.

---

## წერილი ქუთაისიდგან

(დასასრული *)

სხვა საყურადღებო საგანი, რომელიც უფროსის ხმოსნის თავ. პ. თუმანიშვილის თავ-მჯდომარეობით მოისმინა საბჭომ, აშკარად გვაჩვენებს, თუ რა უწესოდ და უთავბოლოდ აწარმოებდნენ ამ რამდენისამე წლის წინედ ზოგს ქალაქის საქმეს, მაგალითად ქალაქის მამულებზე გაწერილის ხარჯის აკრეფისას. როცა სარევიზიო კომისიამ განიხილა 1883 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, აღმოჩნდა, რომ ქალაქის კასსას ჰკლებია 531 მან. და 73 კაპ. ამასთანავე ისიც აღმოჩნდა, რომ შემოსავლის დავთრები მეტად უწესოდ და უთავბოლოდ ეწარმოებინათ, უფრო იმიტომ, რომ ქალაქს არც ბუხგალტერი ჰყავდა, არც ხაზინადარი და არც აგენტი, რომელსაც შესძლებოდა, თავს თავის დროზე მოეკრიბა შემოსავალი და რიგიანად ეწარმოებინა დავთრები. ამათ მაგიერად ქალაქს ჰყოლოდა რამდენიმე წერა-კითხვის და თვისის მოვალეობის უცოდინარი კაცი, რომლებიც ჰკრეფდნენ ქალაქის შემოსავალს, და კიდევ კარგი, რომ ამ გვარ მოღვაწეთა მეოხებით გამგეობას 531 მანეთი დაჰკლებია და არა ბევრად მომეტებული. ერთის სიტყვით, სარევიზიო კომისიის აზრით თუ ვინმე დამნაშავეა ამ საქმეში, ისევ ის წესი და რიგი, რომელიც ანდერძად გადმოუცია თვით-მართველობისათვის პოლიციურს გამგებლობას ქალაქისას და მაშასადამე ცოტად თუ ბევრად თვით საბჭოც, რომელმაც ეს წესი და რიგი შეიწყნარა და შემოიღო. ყოველივე ეს აღმოაჩინა სარევიზიო კომისიამ, მაგრამ საბჭოს მაინცა-და-მაინც დაუდგენია, რომ იმ 531 მანეთისათვის გამგეობამ უნდა აგოს პასუხიო, ეგ დადგენილება საბჭოსი და გამგეობის პასუხი საბჭოს დადგენილობის გამო ბ-მა გუბერნატორმა გადასცა საგუბერნიო საქალაქო საქმეთა გამგე კრებულს. ამ კრებულმა ვერ შეიწყნარა საქმის დადგენილობა, რადგანაც თვით საქმეში დამნაშავე არა სჩანდა და თვით დანაშაულობაც საეჭვო იყო. ამიტომ საქმე უკანვე დაუბრუნა საბჭოს ხელმეორედ განსახილველად. აი, ამ უკანასკნელს კრებაზე ლაპარაკი ჰქონდათ იმაზე, თუ რა უყონ ამ საქმეს: ხელმეორედ განიხილონ, თუ სრულიად მოსპონ. უფროს ერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ საჭირო არ არის მაგ საქმის განსჯას შეუდგეთო და სჯობს ის 531 მ. ვაპატიოთ გამგეობას, რადგანაც ეგ საქმე ჩირქსა სცხებს მთელს თვით-მართველობასაო, და მით საქმეს ბოლო მოუღოთო. ხოლო ზოგი ხმოსანი-კი იმ აზრისა იყო, რომ ყოვლად შეუძლებელია განუსჯელად საქმის მოსპობა და უეჭველად უნდა შევიტყოთ, ვინ არის დამნაშავე ამ საქმეშიო. ამაზე ქალაქის თავმა განაცხადა, რომ გამგეობა პატიებას არა თხოულობს და არც ისა ჰსურს, რომ საქმე განუსჯელად დასტოვონ და მოსპონო; თუ მაინც-და-მაინც მოსპობა გსურთ საქმისაო, სთქვა ქალაქის თავმა, თქვენი აზრი დაასაბუთეთ და ისე იმოქმედეთო, თორემ პატიებას არც არავინ გევედრებათ და არც არავინ მიიღებსო, თუ თქვენ მხოლოდ გულმტკივნეულობით იხელმძღვანელებთ და თუ საქმე დაუსაბუთებლად მოსპეთ, გამგეობა უთანხმოებას განაცხადებს და მოითხოვს, რომ საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცესო. დარწმუნებული ვართ, რომ, რაც უნდა დიდ ხანს აწარმოოთ და აწვალოთ, მაგ საქმედგან მაინც არა გამოდნება-რა, რადგანაც საქმის გარემოებიდგან არც დანაშაულობა სჩანს გამგეობისა და არც დამნაშავეო. ქალაქის თავის სიტყვას შემდეგაც რამდენსამე ხანს ილაპარაკეს და ხმის უმეტესობით საბჭომ დაადგინა — ეგ საქმე სრულიად მოისპოს, რადგანაც არც დანაშაულობის ნიშან-წყალი აჩნია და არც დამნაშავე ვინმე სჩანს შიგაო, და თუ რამ დაჰკლებია ქალაქს, ამის მიზეზი თვით ის წესი და რიგი მივიჩნიოთ, რომელიც ოდესმე თვით მმართველობამ შემოიღო და დააკანონაო.

ეგ საქმე მით-კი არ არის საყურადღებო, რომ ქალაქმა დაჰკარგა ხუთასიოდე მანეთი, არამედ მით, რომ ცხადად დაგვანახვა, თუ რამდენად დაუდევარი და უზრუნველი ყოფილა წინად ქუთაისის საბჭო; ამას, უეჭველია, ვერც თვით საბჭო მიჰხვდებოდა და ვერც საზოგადოება შეიტყობდა, თუ რომ სარევიზო კომისიას არ აღმოეჩინა 531 მანეთის დანაკლისიო. ურემი რომ გადაბრუნდა, გზაც მაშინ გამოჩნდა: რა-კი ეს ამბავი გამოაშკარავა სარევიზიო კამისიამ და ამის წყალობით მთელმა ქალაქმა შეიტყო, რომ ის წესი და რიგი, რომელიც წინად საბჭოს შემოუღია ქალაქის შემოსავლის ასაკრეფად, ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი ყოფილა. მართლადაც განა შესაძლო იყო საქმე წესიერად ეწარმოებინათ, როცა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ქალაქს არც ანგარიშთ-მწარმოებელი ჰყავდა, არც ხაზინადარი და არც ცალკე გამგე ქალაქის შემოსავლისა. ამათ მაგიერად მცირე ფასად დაჭერილი ჰყოლია რამდენიმე წერა-კითხვის უცოდინარი კაცი, და ამიტომაც არის, რომ დღეს ქუთაისის მცხოვრებლებზე, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ოც-და-ათი, ოცი ათასი მანეთი ითვლება წინა წლების შემოსატანი ხარჯი ჯარიმითურთ 1875 წლიდგან მოკიდებული ვიდრე წლევანდლამდე, და ამ ფულსა, თუ ზედ დავურთეთ ამ წლის შემოსატანიც, ლამის არის წელში გასწყვიტოს ქალაქის მკვიდრნი. ყოველივე ეს იმიტომ მოჰხდა, რომ საბჭო თავის დროზე ვერ მიჰხვდა, შეეცვალა ის წესი და რიგი, რომელიც პოლიციის გამგებლობის დროდამ მიიღო ანდერძად. ეხლა-კი დაინახა, რომ ეგ წესი და რიგი ყოვლად უვარგისია, და სცდილობს ახალი შემოიღოს, მაგრამ, გულ-ახდით უნდა ვსთქვათ, დიდის შიშითა და კრძალვით-კი მოქმედობს: ძველის წესისათვის ერთბაშად ვერ დაუნებებია თავი, ალბად იმიტომ, რომ, ანდაზისა არ იყოს, შეუჩვეველს ლხინს შეჩვეულს ჭირს ამჯობინებს. ამ წლის დამდეგს გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ საჭიროა ანგარიშთ-მწარმოებელისა, ხაზინადარისა და აგენტის თანამდებობის დაწესება, ქალაქის ანგარიშების წესიერად წარმოება თუ გვენატრებაო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის აზრი მეტად მართივე იყო, საბჭომ ძლივს-ძლივობით დაუნიშნა ხაზინადარი და აგენტი, ისიც საცდელად. თუ ხსოვნა არა გვღალატობს, ეგ ამბავი მოჰხდა წელს, თებერვალში, და დღეს, დარწმუნებული ვართ, საბჭო კარგად ჰგრძნობს, რომ თუ მოიგო, თორემ არა წაუგია-რა ხაზინადარისა და აგენტის თანამდებობის დაწესებით. მართლაც მას შემდეგ, რაც ხაზინადარი და აგენტი დაინიშნა, ქალაქის ანგარიში წინანდელზე ბევრად უკეთ სწარმოებს, და წარსულის წლების ხარჯი და წლევანდელისაც უფრო რიგიანად იკრიფება. ამიტომაც, სრული იმედი გვაქვს, რაკი პირველი ნახტომი არ შეეშალა, საბჭო მეცადინეობას არ დააკლებს და ეცდება, ახალი წესი და რიგი სისრულით შემოიღოს.

იმის დასამტკიცებლად, რომ ძველი წესი და რიგი ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარია, ორიოდე ცნობა უნდა მოგახსენოთ: წარსულს წელს ქალაქს უნდა შემოსვლოდა 18,250 მან. მამულებზედ შეწერილის ხარჯისა, მაგრამ აქედგან აულია მხოლოდ ათიათას მანეთამდე; რვა ათას მანეთზე მეტი კი მცხოვრებლებზე დარჩენილა, წინა წლებშიაც ამავე ამბავს ვხედავთ; წელს კი, მარტიდგან მოყოლებული, ქალაქის აგენტს, სულ ექვსის თვის განმავლობაში, აულია წლევანდელის ასაკრეფის ანგარიშში ათიათას მანეთზე მეტი, წარსულის წლებისა კი, 1875 წლიდგან მოკიდებული, შვიდი ათას მანეთამდე...

ა. ნა—ლი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

წარსულ შაბათის ნომერში მკითხველებს დავპირდით ბოლგარიის მთავარ-მინისტრის სტამბულოვისა და ბ-ნ ტატიშჩევის ლაპარაკის გაზიარებას. სტამბულოვს უთქვამს, რომ გამოვედი თუ არა საპოლიტიკო ასპარეზზედ, ორის საგნის ასრულება მქონდა სანატრელ საქმედო: ბოლგარიის ერი შემეერთებინა და სახელმწიფო დამოუკიდებლობა მიმენიჭებინა. რუსეთი, რომელმაც პირველში დიდი სიკეთე დაგვდო ოსმალეთისაგან განთავისუფლებით, ბოლოს და ბოლოს თანდათან შემოგვწყრა და განზედ გაგვიდგა. სარეგენტომ გადასწყვიტა, რომ ჩვენის საკუთარის ღონით ვეცადნეთ თავის გატანასაო. რუსეთი შორს გვიდგა, ახლა იმას-და უნდა ვცდილიყავით, რომ ოსმალეთი და დიდნი სახელმწიფონიც მოგვეშორებინა თავიდგან. ეს საწადელი მით უფრო ადვილად განსახორციელებელი აღმოჩნდა, რომ რუსეთთან შემოწყრომამ დიდთა სახელმწიფოთა უმეტესობა დაგვიახლოვა. აზრად მქონდა, თვით ევროპის დახმარებითვე ბოლგარია დამეშორებინა მათგან და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შემექმნა.

ამ გზითაც ვმოქმედებდით მეცა და ჩემი მეგობრებიც. უპირველეს ყოვლისა ჩვენდა თავად ამოვირჩიეთ პრინცი ფერდინანდი მთავრად. არაფრად მოგვწონდა ის გარემოება, რომ პრინცი კობურგისა ყოყმანობდა და დიდს სახელმწიფოებს ეკითხებოდა რჩევას. გამოვუცხადეთ ჩვენ მიერ ამორჩეულს, რომ თუ ეხლავე არ მოგვცეთ პასუხი ჰოსი, ან არასი და არ მოხვედი სოფიაში, შენს მაგიერად მეორე კანდიდატს—ალექსანდრე ბოგორიდის ამოვირჩევთო, მით უმეტეს, რომ ბოგორიდი იმ დროს უკვე ბუქარესტში იყო და პრინცის ფერდინანდის უარს ელოდა, რომ სამთავრო ტახტი დაეჭირა.

პირველში დიდნი სახელმწიფონი, რუსეთისა და საფრანგეთის გარდა, თუმცა წინააღმდეგობას არას გვიწევდნენ, არც არასა გვშველოდნენ. იმის შიში ჰქონდათ, გაი თუ რუსეთის ჯარმა ბოლგარიაში ამოჰყოს თავიო, და ჩვენც გვაფრთხილებდნენ, ნუ აჩქარდებით, დაუთმეთო. „ვისი იმედი გაქვთ, ვინ გიშველებთო“? მეკითხებოდნენ შუა-ევროპიის დიპლომატები. „ღმერთის იმედი გვაქვს და ჩვენის თავისა, ვუპასუხებდი ხოლმე: ვეცდებით, ჩვენი დამოუკიდებლობა დავიცვათ როგორმე“. პირველი შემწეობა იტალიამ აღმოგვიჩინა იმითი, რომ უარ-ჰყო ავსტრიის წინადადება: სავეროპიო კომისია ამოვირჩიოთ და იმ კომისიამ ადევნოს თვალ-ყური ბოლგარიის მთავრის არჩევანსაო. დანარჩენი სახელმწიფონი ცოტ-ცოტა მოგვემხრნენ, ისიც მაშინ, როცა შეიტყვეს, რომ რუსეთი ძალას არ მიჰმართავს და ძალ-მომრეობით არ აპირებს პრინცის კობურგელის ბოლგარიიდგან განდევნასაო. გრაფ კალნოკიმ ავსტრი-ვენგრიის დელეგაციის წინაშე ჩვენის დამოუკიდებლობის სასარგებლო მასლაათი გაბა; ინგლისმა სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაგვიდო და ლონდონის ბირჟაზედ სესხის აღება გაგვიადვილა; დასასრულ მაკედონიაში ბოლგარელ ეპისკოპოსების დანიშვნის საქმეში გერმანიამაცა და სამთა კავშირის სხვა წევრთაც ჩვენი მხარე დაიჭირეს და ოსმალეთის წინაშე ქომაგობა გაგვიწიეს. მართალია, დიდთა სახელმწიფოთა სამსახურით ვსარგებლობთ, მაგრამ სამაგიეროდ ბოლგარიის საერო ინტერესებს-კი არას ვუთმობთ. რა გგონიათო, ჰკითხა თურმე ბოლოს სტამბულოვმა ტატიშჩევს: ჩემთვის ის უფრო უმჯობესი იქნებოდა, რომ ოსმალეთს უარი ეთქვა და ნება არ მიეცა მაკედონიაში ეპისკოპოსების დანიშვნისა, თუ ისა, რომ ნება მოგვცა?

— უარი რომ ეთქვა, მაშინვე ბოლგარიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებდით განა?

— რაღა თქმა უნდა. აი სწორედ აქ არის იმის გამოცანა, რომ ოთხი სახელმწიფო წამოგვეფარა ოსმალეთის წინაშე.

როგორც სტამბულოვის ლაპარაკიდგან სჩანს, უკვე გადაწყვეტილი ჰქონიათ, რომ თუ უარი გვითხრა ოსმალეთმა და მაკედონიაში ეპისკოპოსების დანიშვნის ნება არ მოგვცა, ბოლგარია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოვაცხადოთო. თუ ეს აზრი ჰქონიათ, რასაკვირველია, სტამბულოვი არც ამას იქით მოისვენებს და კვლავ ეცდება ისეთის რისამე გამოტყუვრენას, რომ ბოლგარიის დამოუკიდებლად გამოცხადების საშუალება მიეცეს...

---

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირობს, დააკანონოს რომ ქალაქის ძლიერ დასახლებულ უბნების ქუჩებზე ხეები იყოს ჩარგული. ეს განკარგულება სამინისტროს ღონის-ძიებად მიაჩნია ცეცხლისგან დაზარალების წინააღმდეგ. ერობანი და გლეხ-კაცობა ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ კანონის განხორციელებაში. სახელმწიფო ტყეებიდგან უფასოდ მისცემენ ახალგაზრდა ხეებს და გლეხებმა-კი უნდა დანიშნულს ალაგას წაიღონ და ჩარგონ.

— პირუტყვთა მფარველი საზოგადოება აპირობს, პრემია დანიშნოს იმისთვის, ვინც თვალ-საჩინო თხზულებას დასწერს ამ საზოგადოების მოქმედების შესახებ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი წესდება შეადგინა სათიბებისა და ჰინახულის მოვლისა, რომ საქონელმა არ წაახდინოს. ამას გარდა ამავე სამინიტრომ მოილაპარაკა იუსტიციის სამინისტროსთან და ცალკე ნიხრსაც ადგენს იმისას, რამდენი უნდა გადაჰხდეს საქონლის პატრონს სათიბისა და ჰინახულის წახდენისთვის.

---

*) იხ. „ივერია“ № 203.

— კავკასიიდგან სწერენ „Рус. Вѣд.“-ს ამ დღეებში გამოცხადდა, თუ რა ღონის-ძიებანი უნდა იყოს ხმარებული ყიზლარის მახლობელს სოფლებში ღვინის წარმოების გასაუმჯობესებლად. ყველამ უწყის, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის მამულებისა ვენახებს უჭირავს, მაგრამ ღვინის კეთებ-დაყენება-კი ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია ჩვენში. ყველაზე მომეტებული ვენახი ყიზლარის მაზრაშია, სადაც წელიწადში 6 მილიონ თუნგამდე ღვინო იწურება. მთელი ყიზლიარის ღვინო მაჭრადვე იყიდება, თუნგი 2—3 შაურად, თუმცა ბევრს უცხო ქვეყნის ღვინოს თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდება. მოდიან უცხო ქვეყნიდგან სხვა-დასავაჭრო საზოგადოების აგენტები, ყიდულობენ უბრალო ფასად, ეზიდებიან და თავიანთვის კარგს ღვინოს აკეთებენ. ამ ნაირად ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ადგილობრივს მცხოვრებლებს ხელიდგან ეცლებათ და ვაჭრების ჯიბეს აძლევს ხეირსა. მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ სამწუხარო გარემოებას და 1888 წ. 30 მაისს უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ სამის წლის განმავლობაში ყოველ წლივ 37 ათასი მანათი გადადებულიყო ღვინის წარმოების გასაუმჯობესებლად ჩვენს მხარეში. წელს ჩვენის ოლქის მმართველობამ გადასწყვიტა, რომ 1889 და 1890 წლის ფულიდგან გამსესხებელი კასსა დააარსოს ყიზლარში 30 ათასის მან. თანხით და თერთმეტს სოფელში სამაგალითო ვენახები გააშენოს, სადაც მხოვრებლებს შეეძლებათ ნახონ თავის თვალით, რა ნაირად უნდა მოვლა ვენახისა, ვაზის წამლობა, შეყელვა, გასხვლა და სხვა. ამ ხელობის შესაფერ ცოდნის გასავრცელებლად ხლეხთა შორის შესდგება ცალკე დასი ორის აგრონომისა და ოთხიც გამოცდილ მევენახისაგან. ეს დასი შეგირდებს აიყვანს ყაზახთა შვილებისგან და ასწავლის ღვინის ხელობას. ყოველ წლივ უნდა გაიმართოს ხოლმე გამოფენა ღვინოებისა და 1000 მან. პრემიად დაენიშნოს უკეთესს ღვინის დამყენებელს. ოთხი ყაზახი გაიგზავნება ნიკიტას სასწავლებელში ბაღოსნობისა და ღვინის დაყენების შესასწავლად. აქ ჩამოთვლილ ღონის-ძიებათგან ზოგი უკვე სისრულეშიაც მოყვანილია. 1890 წ. აპრილში ყიზლიარის ატამანს 15 ათასი მანათი გაეგზავნა ღვინის დაყენების გაუმჯობესობაზე მოსახმარებლად. ამას გარდა ჩვენის ოლქის მმართველობამ სთხოვა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, ერთი გამოცდილი აგრონომი ვინმე გამოგზავნე ჩვენს მხარეშიო, მაგრამ სამინისტრომ ამ თხოვნაზე უარი უთხრა. რადგან ეს არ იკმარა, ჩვენის ოლქის მმართველობამ თავისით შეადგინა ღვინის დამყენებელთა დასი. ამ დასში ხუთი გამოცდილი მევენახე—ღვინის მწარმოებელია, რომელთაც უხელმძღვანელებს საოლქო აგრონომი, მაგრამ დასი ისე ველარა მუშაობს, როგორც აპირობდა, თერთმეტის სოფლის მაგიერ სამაგალითო ვენახები გაკეთდა მხოლოდ 5 სოფელში, თითო ვენახს უჭირავს თითო დღიურამდე და მომვლელად გამოცდილი ნასწავლი მევენახე ჰყავს მიჩემებული და 1—2 თანაშემწე შეგირდი ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ეს გამგე მევენახენი ვალდებულნი არიან უწამლონ ვაზსა იმ ხუთს სოფელშიაც, სადაც სამაგალითო ვენახებია დანარჩენს სოფელშიაც.

— აი რა თადარიგიანად დაუპირებია ერთს კაცს თავის მოკვლა. ოდესის ერთს მიყრუებულს უბანში, რომელიც სულ ღარიბებით არის დასახლებული, სცხოვრებდა თურმე ვიღაც მემუსიკე თავის ცოლით. მემუსიკე შუა ხნისა ყოფილა, ვაქსის ქარხანაში ყოფილა რაღაც თანამდებობაზე და კარგი ჯამაგირი ჰქონია. რადგან მაგარს სასმელებს ძლიერ მისდევდა თურმე მემუსიკე, ქარხანაში აღარ დაუყენებიათ და დაუთხოვნიათ. უადგილოდ დარჩენილს მემუსიკეს სახსარი აღარა ჰქონია-რა საცხოვრებლად და თავის მოკვლა განუზრახავს. რაც ფული დარჩენია უკანასკნელს დღემდე, იმითი კუბო და რევოლვერი უყიდნია და, როცა კუბო შინ მოუტანია, მაშინ შესდგომია გარდაწყვეტილების ასრულებას. რევოლვერის ხმაზე შეცვივნულა იმის სახლში ხალხი და მემუსიკე კუბოში ჩაწოლილი უნახავთ, მხოლოდ მკვდარი-კი არა, ცოცხალი, რადგანაც რევოლვერს ემტყუნა. როცა პოლიცია მისულა, თავის მოკვლის მიზეზად მემუსიკეს სიღარიბე დაუსახელებია.

## წვრილი ამბები

პასსიში აარსებენ „გამოჩენილ კაცთა ქარხანას“. ადრევ ტიერსაც ჰქონდა ამ ნაირი განზრახვა, მაგრამ მხოლოდ ქალბატონ დონს მოჰყავს ამ ჟამად ეს აზრი სისრულეში. ქ-ბ-ნ დონის მამულზე შენდება ერთი დიდი სახლი, სადაც უნდა იცხოვროს თორმეტმა ნიჭიერმა კაცმა, რომელთაც შეძლება არ ექნებათ. ამათ ყოველისფერი მიეცემათ სამის წლის განმავლობაში და არაფერი დაბრკოლება აღარ ექნებათ მუშაობისათვის.

— საფრანგეთში ნესვებს რაღაც ავადმყოფობა მოსდებიათ, რომელიც ძლიერ უხდენს თურმე გემოსა. მებაღეები ამ ავადმყოფობას „ნესვის ყვავილს“ უწოდებენ, რადგან მართლა ყვავილისავით რაღაც ბუსუსები დაჰყრება ხოლმე ნესვებს შიგნიდგან. გარედგან ნესვს თითქმის არაფერი არ ეტყობა ხოლმე და ფრიად ძნელია ავადმყოფ ნესვის ცნობა. მხოლოდ, როცა ავადმყოფობა ძლიერ მოედება, ნესვი გარედგან ოღროჩოღროვდება. სწავლული მებაღეების აზრით, ეს ავადმყოფობაც, ფილოქსერასავით, მწერის საქმეა და მაშინა ჩნდება, როცა სითბოს შემდეგ უეცრად აცივდება ხოლმე.

— ჩინეთის ერთს ნაწილში, რომელსაც ჩიგილი ეწოდება სახელად, წყალდიდობამ 4 მილიონი კაცი დასტოვა უბინაოდ. არა ნაკლები ზარალი მოუვიდათ მანჯურიის მცხოვრებლებსაც. მანჯურია და ჩინეთის ჩრდილოეთის მხარეში ხოლერა მძვინვარებს. ევროპიელიც ბევრი იმსხვერპლა ამ სენმა.

— ამ ნაირივე ამბავი მოხდა სენეგალშიაც. იქ წყალდიდობის ზარალის გამო საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა. თანაც აგვისტოს აქეთ წვიმები არ გადაუღია.

— ლონდონში აარსებენ „საერო ტაძარს“, რომელმაც 100,000 კაცი უნდა დაიტიოს. ამ შენობაში უნდა მოხდეს ხოლმე ხალხის კრება საზოგადო საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

— ჩიკაგოს „მუშათა გაზეთის“ რედაქტორი დააპატიმრა მთავრობამ, რადგანაც თავის მკითხველებს ურჩევდა თურმე, ხანჯალს და აფეთქებას ნუ დაერიდებით, სადაც დაგჭირდეთო.

— იტალიის მთავრობამ ერთს ბოროტ-მოქმედთა ბრბოს მიაგნო, რომელსაც სახელად „Malavita“ ჰქვიან. ამ ბრბოში სულ 87 კაცი ერია. როცა ზოგიერთი მათგანი შეუპყრიათ და გაუსინჯავთ, გულსა და ხელებზე სხვადასხვა მხეცის თავები და გველის სურათები ჰქონიათ ამოჩხვლეტილი.

— მოგზაურ ბორელის წიგნში აწერილია ერთი რაღაც უცნაური ერი — სახელად გიმმა. მეფე ამ ერისა ბორელი ტყუილის გუდაა თურმე. აბბა-დიოფეს, ასე ეძახიან ამ მეფეს, აი რა უთქვამს ბორელისთვის: ჩვენ ყველა ტყუილსა ვლაპარაკობთ, ყველანი ცრუები ვართ. ტყუილი ულაპარაკნია ჩვენს მამაპაპას, ტყუილს ვლაპარაკობთ ჩვენ და ტყუილსვე ილაპარაკებენ ჩვენი შვილებიც, თუ უნდათ რომ ღირსნი იყვნენ თავიანთ წინაპრებისა. რატომ შენ-კი არა სტყუიო, უთქვამს სიბრალულით ბორელისთვის, განა შენ-კი ვერ მოახერხებ ტყუილსაო. თუ გინდა, რომ პატივისცემა დაიმსახურო ჩემის ერისა, უთუოდ უნდა იტყუო და იცრუო, რაც-კი შეგიძლიანო. ბორელი ამბობს, რომ ბევრს წარჩინებულს კაცს ამ ერისას უსაზღვრო ტყუილის თქმით აქვს გაკვლეული გზაო.

— უკანასკნელს აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებში 1000 მცხოვრებელზე, 1,32 ღარიბი მოდის.

— 1881 წ. ოქტომბერში გერმანიის ერთს პატარა ქალაქიდგან ვიღაც ახალგაზრდა ქალს გაუგზავნია წერილი თავის საქმროსთან, რომელიც იმ დროს ბრაზილიაში იყო თურმე და მატროსად მსახურებდა გემზე. წერილს დანიშნულებისამებრ ვერ მიუღწევია, რვა წლის განმავლობაში ერთის საფოსტო კანტორიდგან მეორეში უვლია და მხოლოდ წრეულს მოსვლია უკანვე გამგზავნ ქალს, რომელიც დიდი ხანია თურმე კიდეც მისთხოვდა იმ კაცს, რომელსაც მაშინ წერილი მისწერა.

— ბერლინში ლაპარაკობენ, რომ როდესაც იმპერატორი ვილჰელმი სადარბაზოდ მოვიდა ფელდ-მარშალ მოლტკესთან, დიდის სიამოვნებით იხსენიებდა ფრანც-იოსების ნახვასაო. ახალგაზრდა იმპერატორს უთქვამს თურმე, ფრანც-იოსები ისე მეპყრობოდა, როგორც მამა შვილსაო. როდესაც მოლტკესგან დაბრუნებულა და მატარებელში ჯდებოდა თურმე, მიბრუნებულა და უთქვამს გაიდერგესთვის: „რა სიამოვნებით წავიდოდი ძველა ფრიდრიხს რუგში, მაგრამ იმან (ე. ი. ბისმარკმაო) შეუძლებლად გამიხადა ეს საქმეო“.

— პარიჟის გაზ. „Paix“-ს სწერენ ვენადგან: იმპერატორს ფრანც იოსებსა და ვილჰელმს ერთმანეთის ნახვის დროს ულაპარაკნიათ, ევროპის დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მოვიწვიოთ ვენაში, სადიპლომატო კრება გავმართოთ და აწინდელი უმთავრესი საერთა შორისო საქმეები მივანდოთ განსახილველადაო. „Paix“ ი ამბობს, შეიძლება სამთა-კავშირი დაირღვესო და იმას მაგიერ სხვა ახალი ევროპის აწინდელ ინტერესების შესაფერი რამ დაარსდესო.

## დეპეშები

22 სექტემბერი

ვენა. სამეფო გვარს საშიშროება მოელისო, ამბობს მილანი და ამიტომ თხოულობს მთავარ-სარდლობა ჯარისა მე უნდა მომეცესო.

სტამბოლი. ხონთქარმა გადასწყვიტა, დავამტკიცებ სომეხთა უფლება-უპირატესობათაო.

23 სექტემბერი

პეტერბურგი. საფრანგეთის საჯაბახანო ქარხნების ინსპექტორს, გენერალ გრას ებოძა ორდენი წმ. სტანისლავისა, 1-ლის ხარისხისა და სხვა აფიცრებს, ისევ ამ საქმეში მყოფთ— მეორე ხარისხისა და წმ. ანნას ორდენი მე-2 და მე-3 ხარისხებისა.

პარიჟი. ზავი საფრანგეთსა და დაღომეას შორის ჩამოვარდა და ალყა შემოეხსნა დაგომეიას. მეფემ დაღომეისამ შეიწყნარა, რომ საფრანგეთს უფლება აქვს იუფლოს კოტონში და მფარველობა გაუწიოს პორტო-ნუევოსო.

24 სექტემბერი

პეტერბურგი. „Новости“-ი ამბობს, რომ უმთავრესი საზოგადოება რკინის გზებისა აპირობს შემოიღოს ყველა თავის გზებზე საფოსტო და საკურიერო მატარებლების ვაგონებთან ბუფეტის ვაგონები, მხოლოდ ამ ბუფეტებში მაგარის სასმელების ყიდვა აღკრძალული იქნებაო.

გუშინ გაიმართა აქ სრულიად რუსეთის გამოფენა ბაღოსნობისა. გამოფენაზე უფრო მეტად საყურადღებოა განყოფილება ხილეულობ[ისა].

ტობოლსკი. გუშინ მოვიდა პეტერბურგიდამ ველოსიპედით ბა[რო]ნი კლეს-კრაუსი.

ამსტერდამი. ავადმყოფობა ხან[და]ხან უკარგავს მეფეს ხსოვნასა და ა[მის] გამო ველარ ახერხებს სახელმწი[ფო] საქმეების კეთებას. ამ დღეებში ე[ლი]ან, რომ მთავრობა მიიღებს ღონ[ის]ძიებას, რათა უზრუნველ ჰყოს წე[სი]ერად მსვლელობა საქმეებისა.


# განცხადებანი

## სასწავლებელი ქალბატონის პუესტისა

კრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—6)

## დ. ი. კეზელი

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—4)



ტფილისის გამოფენა



ვერცხლის.



ოქროს.

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
# А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—20

ოქროს



მედალი



## თამბაქოს ფაბრიკა
## ნ. ი. ბოზარჯიანცის
ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იშოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—14)


Дов. цен. Тифлисъ, 24-го Сентября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე